საქართველოს მთავრობის განკარგულება

№794 2016 წლის 11 მაისი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 113-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №330 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის პირველი პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 აპრილის №5/19417 გადაწყვეტილება, დაბა ასპინძაში, თამარის ქუჩა №3-ში მდებარე შენობა-ნაგებობა №1-ის II სართულზე არსებული 56,7 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №60.01.31.059) ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია №1

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი